დამტკიცებულია :

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის

აკადემიის დირექტორი : ნესტანი აბსავა

ბრძანება **№01/18 2023** წელი **26** იანვარი

ცვლილება N 01/103 ; 28.12.2023

# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

# დაწესებულების განვითარების 7 წლიანის სტრატეგიული

# გეგმა (2023-2030[1])

ზუგდიდი 2023

[1] გეგმა მოიცავს პერიოდს 2023 წლის 30 იანვრიდან 2030[1] წლის 30 იანვრამდე

## დაწესებულების მოკლე აღწერა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია წარმოადგენს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სამუშაოზე დაფუძნებული ფორმით, ასევე, მოკლევადიან მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს. კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით, კოლეჯის შინაგანაწესით და წესდებით. კოლეჯი ზუგდიდის აკადემია დაფუძნდა 2016 წლის 5დეკემბერს და 2017წელს გაიარა ავტორიზაცია. კოლეჯი თავის ფუნქციონირებას ახორციელებს ზუგდიდში შკიტიასქ № 9.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სასიამოვნო საგანმანათლებლო გარემოს, სადაც მოლოდინი ყოველთვის მართლდება. ჩვენი კურსდათავრებულები წარმატებით საქმდებიან როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ისე მთელ საქართველოში. კოლეჯი მუდმივად იკვლევს შრომის ბაზარს, ამყარებს საქმიან ურთიერთობას პოტენციურ დამსაქმებელთან, ინტენსიურად ახორციელებს აპლიკანტების, პროფესიული სტუდენტების და მსმენელების გამოკითხვას, რაც ქმნის ნათელ სურათს დაინტერესებული პირების წარმოდგენაზე თანამედროვე სწავლებისა და სწავლის, მოთხოვნადი პროფესიების, გამართული საგანმანათლებლო სერვისების, სწავლის ხარისხთან დაკავშირებული სხვადასხვა კომპონენტის მდგრადობის შესახებ.

ვფიქრობთ, რომ კოლეჯს ღირსეული ადგილი უჭირავს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე და მუდმივად ცდილობს საგანმანათლებლო პროცესების განახლებას, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესებას და ინფრასტრუქტურის სრულყოფას. სწორედ ამ ძირითადი კომპონენტების ინტეგრაცია უდევს საფუძვლად კოლეჯის საქმიანობას.

## მ ი ს ი ა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია არის მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა მსურველებს შესთავაზოს მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის განვითარებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება/გადამზადებას. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის წარმომადგენლებთან პარტნიორობით ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

## ხ ე დ ვ ა

კოლეჯის ხედვაა 2030 წლისთვის გახდეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პროფესიული განათლების მიმწოდებელი წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც თანამედროვე ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რეგიონის მუნიციპალიტეტთან, ბიზნეს-სექტორთან აქტიური თანამშრომლობით დაინტერესებულ პირებს მუდმივად შესთავაზებს შრომის ბაზრის

მოთხოვნების შესაბამის, პრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს(მათ შორის მომზადება-გადამზადების პროგრამებსაც), რაც ხელს შეუწყობს კურსდამთვრებულთა წარმატებულ დასაქმებას და კარიერულ წინსვლას.

## ღირებულებები

საკუთარი მიისიდან გამომდინარე, 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის განხორციელებისას კოლეჯი მოქმედებს შემდეგი ღირებულებებზე დაყრდნობით :

- სამართლიანობა;
- ჰუმანურობა;
- თანაბარი შესაძლებლობები;
- აზრის თავისუფლება;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- თანამშრომლობა/გუნდური მუშაობა.

**გამჭვირვალობა, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა -** კოლეჯის საქმიანობა, ხედვები დაღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომია, ცნობილია დაინტერესებული მხარისათვის და გამორიცხავს საქმიანობაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს. კოლეჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს;

**თანამშრომლობა და განვითარება -** კოლეჯი ღიაა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის, სიახლეების განსახილველად, განსხვავებულ მოსაზრებების მოსასმენად პრობლემების გადასაჭრელად. სისტემატიურად აფასებს საკუთარ საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით გეგმავს განვითარების გზებს.

**ძლიერი მხარეები :**

- დივერსიფიცირებული დაფინანსების წყარო - დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციის ფინანსურ მდგრადობას;
- დამსაქმებლების/პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა სასწავლო პროგრამების შემუშავების/დანერგვის და განხორციელების პროცესში;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დადებითი იმიჯი;
- პროგრამების შესაბამისი სასწავლო რესურსები;
- კოლეჯის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;

- კვალიფიციური პერსონალი;
- დაწესებულების ხელსაყრელი ადგილმდებარეობა;
- პოზიტიური და კომფორტული სასწავლო და სამუშაო გარემო.
- სტაბილური პარტნიორი ორგანიზაციები, ხელშეკრულებები დასაქმების პერსპექტივით.

**სუსტი მხარეები :**

- საკუთარი შენობის არქონა;
- საერთაშორისო ურთიერთობები.

**განვითარების შესაძლებლობები:**

- სწავლების ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- სწავლების ხარისხის ამაღლება კონტროლის მექანიზმების გამოყენებით;
- ელექტრონული სერვისების განვითარება;
- დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობები;
- დამსაქმებლებთან და ბიზნესთან კავშირის გაძლიერება;
- პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ღონისძიებების გატარება (კონფერენციები, სპორტი, კულტურული ღონისძიებები);
- პროფორიეტაციის ხელშეწყობის განვითარება;
- პერსონალის პოტენციალის განვითარება;
- ხელფასების გაზრდა ;
- ვებ-გვერდისა და საკომუნიკაციო საშუალებების გაუმჯობესება;
- ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს რესურსების სრულყოფა და მომსახურების გაუმჯობესება;
- შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დამატება;
- ექსტრაკულიკულური აქტივობებისა გაძლიერება;

**საფრთხეები:**

- ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები;
- არამდგრადი სოციალური გარემო;
- კოლეჯებს შორის ზრდადი კონკურენცია;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნის მისაღწევი გზები, განსახორციელებელი ქმედებები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი სტრუქტურები, მონიტორინგის მექანიზმები, შესრულების ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგები

| ამოცანები | ვადები | | | | | | | ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული | პასუხისმგებელი პირი/პირები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | | |
| მზადება ავტორიზაციისთვის, თვითშეფასების წარდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. | ✓ | | | | | | ✓ | ✓ თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით.<br>✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოდულები.<br>✓ წარმატებული ავტორიზაცია | დირექტორი, დამფუძნებლები ; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; და სხვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, |
| **სტრატეგიული მიზანი N 1. ორგანიზაციული განვითარება** | | | | | | | | | |
| ამოცანები | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული | პასუხისმგებელი პირი/პირები |
| **1.1** სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშვება-განხორციელება-განვითარება | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ დამტკიცებული შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>✓ სამოქმედო გეგმის(ერთწლიანი) ანგარიში;<br>✓ კოლეჯის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშ(ებ)ი;<br>✓ დირექტორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი);<br>✓ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები /აქტივობები;<br>✓ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები /აქტივობები;<br>✓ შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები;<br>✓ მარეგულირებელი დოკუმენტები | დირექტორი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან | |
| **1.2** | ხარისხის უზრუნველყოფა (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება) | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ სხვადასხვა კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;<br>✓ აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კითხვარები; კვლევის შედეგები/ანალიზი;<br>✓ საჭიროების შემთხვევაში განვითარების გეგმა, განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>✓ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები; ჩატარებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; შენარჩუნებული ავტორიზაცია; | დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი |
| **1.3** | ადამიანური რესურსების განვითარება | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა;<br>✓ გეგმის შესაბამისი განმავითრებელი ღონისძიებების ჩატარების დამადასტურე-ბელი დოკუმენტაცია;<br>✓ ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სასერთიფიკატო კურსები და სხვაჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>✓ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულს ტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;<br>✓ შენარჩუნებულია არსებული პერსონალის მინიმუმ 90%;<br>✓ განხორციელებულია გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 90% | დირექტორი ; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯრი |

| სტრატეგიული მიზანი N 2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითრება | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანები | | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული | პასუხისმგებელი პირი/პირები |
| 2.1 | ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება,განახლება და განხორციელება შრომის ბაზრისა და მოთხოვნების გათვალისწინებით | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | | ✓ | ✓ შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი;<br>✓ დირექტორის ბრძანება პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;<br>✓ შეძენილი პროგრამის განხორციელებისა-თვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა ;<br>✓ მოძიებულია პროგრამის განხორციელები-სათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი;<br>✓ აყვანილია პროგრამის განხორციელების ათვის საჭირო ადამიანური რესურსი;<br>✓ ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი პროფესიული პროგრამების დასამტკიცე-ბლად წარსადგენად;<br>✓ კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;<br>✓ შევსებული განაცხადი პროგრამების დამატების შესახებ;<br>✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება. | დირექტორი;<br>სასწავლო პროცესის მენეჯერი;<br>პროგრამის ხელმძღვანელები;<br>ბუღალტერი |
| 2.2 | მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება, განახლება, განხორციელება. | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი;<br>✓ დირექტორის ბრძანება პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;<br>✓ შეძენილი პროგრამის განხორციელებისა-თვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა ;<br>✓ მოძიებულია პროგრამის განხორციელები- | დირექტორი;<br>სასწავლო პროცესის მენეჯერი;<br>პროგრამის ხელმძღვანელები;<br>პროფესიული მასწავლებლები;<br>ბუღალტერი; |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | სათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი;<br>✓ აყვანილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი;<br>✓ კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;<br>✓ შევსებული განაცხადი პროგრამების დამატების შესახებ;<br>✓ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ დადასტურებული მომზადება /გადამზადების პროგრამები | |
| **სტრატეგიული მიზანი N 3. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება** | | | | | | | | | | |
| **ამოცანები** | | **2023** | **2024** | **2025** | **2026** | **2027** | **2028** | **2029** | **ძირითადი ინდიკატორები და მ ათი სამიზნე ნიშნული** | **პასუხისმგებელი პირი/პირები** |
| **3.1** | ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ ვებ-გვერდი ატარებს საკომუნიკაციო-საინფორმაციო ფუნქციას, მუდმივად განახლებულია ინფორმაცია, ატვირთულია სათანადოდო კუმენტაცია;<br>✓ ყოველწლიურად განახლებულია კატალოგი და ატვირთულია ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის შემუშავებულია თანამედროვე მიდგომების შესაბამისი, მოქნილი, გამჭვირვალე სწავლების /შეფასების მექანიზმები;<br>✓ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი პროგრამებით; | დირექტორი; ITსპეციალისტი; სასწავლო პროცესების მენეჯერი |
| **3.2** | მატერიალური რესურსების განვითარება | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმებულია, მწყობრშიაინფრა | დირექტორი; სამეურნეო სამსახურის მენეჯერი; ბუღალტერი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | სტრუქტურა მოწესრიგებულია;<br>✓ შესაბამისობის დასკვნები, ინვენტარიზაციის აქტი, შესაბამისობის და შემოწმების დასკვნები /ანგარიშები შენობის მდგრადობის დასკვნა; ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება; | |
| **3.3** | საბიბლიოთეკო/სა განმანათლებლო რესურსების განვითარება | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი; ვებ-გვერდი http://akademiazug.ge/biblio/<br>✓ (ელ.კატალოგი)https://geolibrary.byethost3.com/zugdidi/home/index.php<br>✓ ახალი ლიტერატურის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; | დირექტორი; ბიბლიოთეკარი; პროგრამის ხელმძღვანელები; სასწავლო პროცესის მენეჯერი |
| **სტრატეგიული მიზანი N 4. პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები** | | | | | | | | | | |
| | **ამოცანები** | **2023** | **2024** | **2025** | **2026** | **2027** | **2028** | **2029** | **ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული** | **პასუხისმგებელი პირი/პირები** |
| **4.1** | პროფესიული სტუდენტების/მსმ ენელების უფლებების დაცვა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები;<br>✓ დირექტორისა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>✓ ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია;საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა;<br>✓ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი;<br>✓ გამოკითხვის შედეგები. | დირექტორი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; |
| 4.2 | პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ წელიწადში მინიმუმ 2 აქტივობა; ღონისძიების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური გვერდი, სადაც მუდმივად ახლდება ინფორმაცია კარიერული | დირექტორი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; პროფორიენტაციისა და პროფესიული კარიერის დაგეგმვის მენეჯერი |

| | | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | განვითრების, დასაქმების შესახებ და სხვა.<br>✓ მინიმუმ 1 ტრენინგ-კურსი წელიწადში; ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მინიმუმ 2 შეხვედრა წელიწადში; შეხვედრების დამადასტურე- ბელი დოკუმენტაცია; | |
| **სტრატეგიული მიზანი N 5. უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა** | | | | | | | | | | |
| ამოცანები | | **2023** | **2024** | **2025** | **2026** | **2027** | **2028** | **2029** | **ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული** | **პასუხისმგებელი პირი/პირები** |
| **5.1**<br>. | შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა შეფასებულია რისკებისაჭიროების შემთხვევაში დასახულია გეგმა,<br>✓ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია შესაბამის ორგანოსთან;<br>✓ დაცულია სახანძრო და ელექტრო უსაფრთოების ნორმები, აღებულია შესაბამისობის დასკვნა | დირექტორი;<br>შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;<br>სამეურნეო სამსახურის მენეჯერი,<br>კოლეჯის ადმინისტრაცია,<br>პროფესიული მასწავლებლები |
| 5.2. | ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება უსაფრთხოების წესების შესახებ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>✓ ჰიგიენური ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; | შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; სამეურნეო სამმსახურის მენეჯერი,,<br>კოლეჯის ადმინისტრაცია |
| **სტრატეგიული მიზანი N 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები** | | | | | | | | | | |

| ამოცანები | | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული | პასუხისმგებელი პირი/პირები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **6.1** | საზოგადოებასთან ურთიერთობა და ურთიერთ სასარგებლო კავშირების განვითარება | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კოლეჯის ცნობადობის ასამაღლებელი /სარეკლამო ღონისძიეების განხორციელების დამადასტურე-ბელი დოკუმენტაცი ამონაწილეობა ერთობლივ ღონისი ებებში, ტრენინგებსა და სხვა აქტივობებში წელიწადში მინიმუმ ერთი ახალი პარტნიორი შესაბამისად აქტოვობების დამადა- სტრებელი დოკუმენტაცია. | დირექტორი;<br>სასწავლო პროცესის მენეჯერი;<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;<br>პროფორიენტაციისა და პროფესიული კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; |